ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2610917

ნომერი: AR1402571

თარიღი : 06.05.2016

გაცემის თარიღი : 23.05.2016

გაცნობის თარიღი : 24.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღმის 1მ/რ-ში , ცენტრალური გზის მიმდებარედ , უბანი IV (ნაკვეთი N1) / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა გიორგი ბრწყინვალე , N 41 , - ის წინ / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი 14/085) / ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , გ.ბრწყინვალესა და პ.იბერის გადაკვეთაზე (ნაკვ.14/60);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჯოხიძე პ/ნ 55001003350
- მირიან მეფის 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2559996 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 06 მაისის №AR1402571 განაცხადით მომართა ირაკლი ჯოხიძემ და ამავე სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2559996 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2559996 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიდი დიღმის პირველ მ/რ-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი IV (ნაკვეთი №1) / ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, გიორგი ბრწყინვალე ქუჩა №41-ის წინ / ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი 14/085) / ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, გ. ბრწყინვალესა და პ. იბერის გადაკვეთაზე (ნაკვ.14/60) მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.06.014.104) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გამცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2559996 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორადაა დაფიქსირებული საერთო ფართობი - 6415,4 კვ.მ ნაცვლად 6327,3 კვ.მ-ისა, საცხოვრებელი ფართობი - 4334,2 კვ.მ ნაცვლად 4270,1 კვ.მ-ისა და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 605,3 კვ.მ ნაცვლად 581,3-ისა. ტექნიკური შეცდომაა დაშვებული ასევე ბრძანებით შეთანხმებულ „ბ“ ბლოკის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე და მეათე სართულის გეგმებზე, კერძოდ მესამე, მეხუთე, მეცხრე და მეათე სართულების გეგმებზე არასწორადაა აღნიშნული ფართები, ხოლო მეოთხე სართულის გეგმაზე შეცდომითაა დაფიქსირებული ნიშნული. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა - გასწორდეს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და №2559996 ბრძანებით შეთანხმებული ზემოაღნიშნული სართულების გეგმები შეიცვალოს №AR1402571 განაცხადის 2016 წლის 23 მაისის №AR1120355MS შეტყობინებით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით.

სამსახურმა შეისწავლა 2016 წლის 22 აპრილის №2559996 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტი, №AR1402571 განაცხადითა და მისი №AR1120355MS შეტყობინებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია და წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესწორებული გეგმები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2559996 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:6327,3, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:4270,1, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:581,3 და №2559996 ბრძანებით შეთანხმებული მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე და მეათე სართულების გეგმები ჩანაცვლდეს №AR1120355MS შეტყობინებით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2559996 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2559996 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.